



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### იმერეთის რეგიონი

იმერეთის რეგიონი, 2016-მდე იმერეთის მხარე (შეიქმნა 1994), ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული დასავლეთ საქართველოში. ტერიტ. დიდი ნაწილი უჭირავს იმერეთის დაბლობს, იმერეთის მაღლობს და რაჭის, მესხეთის, ლიხის ქედების განშტოებებს. ჩრდ-ით ესაზღვრება რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, დას-ით და სამხრ.-დას-ით – გურიისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის, აღმ-ით – შიდა ქართლის, სამხრ-ით – სამცხე-ჯავახეთის რეგიონები. ი. რ-ის ფართობია 6,4 ათ. კმ<sup>2</sup>. მოსახლ. 533,9 ათ. კაცი (2014). ცენტრი – ქ. ქუთაისი.

რეგიონში არის 11 მუნიციპალიტეტი [ბაღდათის მუნიციპალიტეტი (იხ. ბაღდათის რაიონი), ვანის მუნიციპალიტეტი, ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სამტრედიის მუნიციპალიტეტი, საჩხერის მუნიციპალიტეტი, ტყიბულის მუნიციპალიტეტი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, ჭიათურის მუნიციპალიტეტი, ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, ხონის მუნიციპალიტეტი], 11 ქალაქი, აქედან 1- თვითმმართველი (ქუთაისი), 2 – დაბა (კულაში, ხარაგაული), 549 – სოფელი, 38 სათავო სოფელი, 125 – თემი.

ი. რ. ემთხვევა ისტ.-ეთნოგრ. მხარე იმერეთს. მოსახლ. 99,7% ქართველია, ცხოვრობენ აგრეთვე რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები და სხვ. საშ. სიმჭიდროვეა 83,2 კაცი 1 კმ<sup>2</sup>-ზე (2014).

მოსახლ. დიდი ნაწილი დასაქმებულია სოფ. მეურნეობაში. ოჯახური და სხვა ტიპის მეურნეობები სარგებლობენ 72101 ჰა სახნავი მიწით, მრავალწლიან ნარგავებს უჭირავს 12246 ჰა, ვენახებს – 8584 ჰა, ხეხილის ბაღებს – 2038 ჰა. მოჰყავთ სიმინდი, ლობიო, განვითარებულია მეხილეობა (ვაშლი, მსხალი, ატამი, თხილი, კაკალი და სხვ.),

მევენახეობა, მებოსტნეობა, მებაღეობა, მეცხოველეობა (მესაქონლეობა, მეღორეობა, მეფრინველეობა. მეფუტკრეობა).

ი. რ. ქვეყნის მნიშვნელოვანი საკურორტო-რეკრეაციული რაიონია. მის ტერიტორიაზე არის სამკურნ. მინერ. და თერმ. წყლები (წყალტუბო, საირმე, ნუნისი და სხვ.).

ლიტ.: საქართველოს ბუნებრივი რესურსები, მთ. რედ. ირ. ჟორდანია, ტ. 1-2, თბ., 2015.

**ე. ლოლუა**

---